



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე

10. 05. 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოდგენილი მისი რექტორის, ასოცირებული პროფესორის მაკა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) წარმოდგენილი თამარ კაიკაციშვილის სახით (შემდგომში - მხარეები), ისწრაფვიან რა, ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ რა, მხედველობაში საგანმანათლებლო სფეროში, პრაქტიკული და თეორიული ასპექტების გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობის ორმხრივ დაინტერესებას, ასევე აცნობიერებენ რა, ქვეყნისათვის ტურიზმის განვითარების მნიშვნელობას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე მემორანდუმი წარმოადგენს დეპარტამენტსა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის საფუძველს;
2. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ითანამშრომლებენ თანასწორუფლებიანობისა და კოლეგიალურობის პრინციპების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი და მხარეთა უფლებამოსილება

1. მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტსა და დეპარტამენტს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განათლების სფეროში - ტურიზმის მიმართულებით.

2. მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად დეპარტამენტი:

ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საჯარო ლექციების ჩატარებას ტურიზმის საკითხებში დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ;

ბ) უნივერსიტეტის სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკით დეპარტამენტის სამსახურებში;

გ) უზრუნველყოფს დეპარტამენტში ვაკანსიების არსებობის შესახებ უნივერსიტეტის ინფორმირებულობას;

დ) მემორანდუმის მიზნის მისაღწევად უზრუნველყოს სხვა ღონისძიებების განხორციელება.

3. მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად უნივერსიტეტი:

ა) უზრუნველყოფს დეპარტამენტის მიერ ვაკანსიებთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის გავრცელებას უნივერსიტეტში;

ბ) ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დეპარტამენტში სასწავლო პრაქტიკის გავლის საკითხს;

გ) ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საჯარო ლექციების ჩატარებას დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ;

დ) ხელს შეუწყობს დეპარტამენტის საქმიანობისა და ზოგადად ტურიზმის პოპულარიზაციას სტუდენტებში;

ე) მემორანდუმის მიზნის მისაღწევად უზრუნველყოს სხვა ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. სხვა პირობები

1. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.
4. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
5. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

მხარეთა რეკვიზიტები:

<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი</p>	<p>სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>
<p>თავმჯდომარის პირველი მოადგილე: თამარ კაიკაციშვილი</p>	<p>რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე</p>
<p>მისამართი: ქალაქი ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N 84/86</p>	<p>მისამართი: ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ.N113</p>

